სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)

დადგენილება №01-06-02/29

ქ. თბილისი 6 ივნისი 2025

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის სტრუქტურული რეორგანიზაციისა და ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „ნ“ ქვეპუნქტების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის და მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანის, ლიანა თარგამაძის 2025 წლის 05 ივნისის MES 1 25 0000630190 სამსახურებრივი ბარათის, ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის საბჭოს 2025 წლის 5 ივნისის სხდომის №5 ოქმის, აკადემიური საბჭოს 2025 წლის 6 ივნისის №01-05-04/107 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2025 წლის 6 ივნისის №01-06-02/06 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ დაადგინა:**

1. დამტკიცდეს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 6 ივნისის №01-05-04/107 დადგენილება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური

ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის სტრუქტურული რეორგანიზაციის შესახებ;

2. აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2021 წლის 30 ივნისის ერთობლივი სხდომის №01-05-17/05 დადგენილებით დამტკიცებულ ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დებულებაში შეტანილ იქნეს ცვლილებები და დებულების მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის:

   ა) „ა" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   „ა) ქიმიური, ბიოლოგიური და სასურსათო ტექნოლოგიების აკადემიური დეპარტამენტი;";

   ბ) „ვ" ქვეპუნქტი ამოღებული იქნეს.

3. ცვლილებები აისახოს ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის საშტატო განრიგში;

4. დადგენილება ძალაში შევიდეს 2025/2026 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან;

5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი

ზაზა სოფრომაძე